ევროკავშირი
საქართველოსთვის

UNDP
Empowered lives
Resilient nations.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი

შუალედური ანგარიში

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო ახალი ამბების მედიამონიტორინგის შუალედური ანგარიში

18 ივნისი - 15 ოქტომბერი

საქართველოს
ჟურნალისტური
ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

თბილისი, 2018

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია” გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ,,საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი“ ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით აკვირდება ტელემედიის მიერ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქებას 8 სატელევიზიო არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში. მონიტორინგი ხორციელდება შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, ტვ პირველი, მაესტრო, ობიექტივი, იბერია, აჭარის ტელევიზია.

წინამდებარე ანგარიში ასახავს 18 ივნისი - 15 ოქტომბრის პერიოდში გასული გადაცემების ანალიზს.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

ტელევიზიების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს საკუთარ თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები).

ძირითადი ტენდენციები

- პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ყველაზე მეტად სალომე ზურაბიშვილი გაშუქდა. ზოგიერთ არხზე მისთვის დათმობილი დრო რამდენჯერმე აღემატებოდა კონკურენტებისთვის დათმობილ დროს.
- სალომე ზურაბიშვილი ყველაზე დადებითად „ობიექტივის“ ეთერში გაშუქდა 9%-ით, ყველაზე უარყოფითად კი „რუსთავი 2“-ის ეთერში 56%-ით.
- „რუსთავი 2“ ერთგვარ ნეგატიურ კამპანიას აწარმოებდა სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ, ანალოგიურად აშუქებდა „იმედი“ გრიგოლ ვაშაძეს.
- ჯამში დათმობილი დროის მიხედვით, ყველა არხის მონაცემებით, ყველაზე მეტად საქართველოს მთავრობა გაშუქდა. მთავრობა ყველაზე დადებითად აჭარის ტელევიზიის ეთერში წარმოჩინდა. მისთვის დათმობილი დროის 14% პოზიტიური იყო. ყველაზე უარყოფითად მთავრობა „რუსთავი 2“-ის ეთერში გაშუქდა. დათმობილი დროის 41% მას ნეგატიურად წარმოაჩენდა.
- პარტიებს შორის ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. მას მოსდევს „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო.“
- „ქართული ოცნება“ ყველაზე დადებითად აჭარის ტელევიზიის ეთერში გაშუქდა (9%), ყველაზე უარყოფითად კი „რუსთავი 2“-ის ეთერში (46%).
- „რუსთავი 2-ის“ ეთერში „ნაციონალურ მოძრაობის“ დადებითმა გაშუქებამ დათმობილი დროის 1%-ზე ოდნავ მეტი შეადგინა. ამაზე მეტი პოზიტიური გაშუქება პარტიას არც ერთ სხვა არხზე არ ჰქონია. ეს პარტია ყველაზე უარყოფითად (77%) „ობიექტივის“ ეთერში გაშუქდა.
- 2018 წლის მონიტორინგმა აჩვენა, რომ გაზრდილია „ევროპული საქართველოს“ გაშუქება და, დათმობილი დროით, ის ზოგიერთ არხზე უსწრებს კიდეც „ნაციონალურ მოძრაობას.“ ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს ხორავას ქუჩის საქმეზე შექმნილი საპარლამენტო კომისიის აქტიური გაშუქებით. ამ კომისიის ხელმძღვანელი და წევრების უმრავლესობა სწორედ „ევროპული საქართველოს“ წევრები იყვნენ. ეს თემა კი საინფორმაციო გამოშვებების ყურადღების ქვეშ იყო.
- წინა წლების მსგავსად ობიექტივი ერთადერთი არხია, რომელიც კვლავ დიდ დროს უთმობს „პატრიოტთა ალიანსის“ გაშუქებას.
- ხელისუფლებისადმი ყველაზე მეტი კრიტიკული ტონი „რუსთავი 2“-ს აქვს. კრიტიკული სიუჟეტები ხელისუფლების მიმართ ყველაზე ხშირად ამ არხის ეთერში გადის.
- „რუსთავი 2“ აშკარა სიმპათიას ამჟღავნებს „ნაციონალური მოძრაობის“ და ამ პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ.
- წინა წლების მსგავსად ხელისუფლების მიმართ კვლავ რბილი, არა მოდარაჯე პოზიციით ხასიათდება საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი და ტელეკომპანია „იმედი.“ ხელისუფლების გაშუქებისას მათი პრიორიტეტები და გზავნილები ხშირად იდენტურია.
- 2017 წელთან შედარებით, სიძულვილის ენის და შეუსაბამო ტერმინოლოგიის საინფორმაციო გამოშვებებში ტირაჟირება კიდევ უფრო ნაკლებია.
- მხოლოდ „ობიექტივისა“ და „მაესტროს“ ეთერში დაფიქსირდა ქსენოფობიური შინაარსის შემცველი მასალა. ორივე შემთხვევაში წყარო პოლიტიკოსები იყვნენ.

- 2017 წლის მსგავსად თითქმის ყველა არხზე პრობლემად რჩება სიღრმისეული, მოკვლევითი სიუჟეტების სიმცირე, რომლებიც დაკავშირებული იქნება საარჩევნო თემატიკასთან და ამომრჩეველს მეტად დაეხმარება ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში.
- წინა წელთან შედარებით შემცირებულია გონივრული ბალანსის დარღვევის ფაქტები, თუმცა ზოგჯერ მაინც გვხვდება ბალანსის დაცვის პრობლემა.
- მთელი პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა სექსისტური განცხადებების ტირაჟირების რამდენიმე შემთხვევა. წყარო ყველა შემთხვევაში პოლიტიკოსი იყო.

პირველი არხი

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ პირველი არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „მოამბე 21 საათზე“ და გადაცემას „ახალი კვირა“. მთელი პერიოდის განმავლობაში „მოამბეში“ ყველაზე მეტი დრო მთავრობას დაეთმო. ყველაზე დადებითად ადგილობრივი ხელისუფლება გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 6% პოზიტიური იყო. ყველაზე უარყოფითად კი „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოჩინდა, რადგან მისთვის დათმობილი დროის 23% ნეგატიური იყო.



პირველი არხის საინფორმაციო გამოშვებებში საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დრო სალომე ზურაბიშვილს დაეთმო. მისთვის დათმობილი დრო თითქმის ორჯერ მეტია ვიდრე დავით ბაქრაძის, რომელიც გაშუქების სიხშირით მეორეა. ყველაზე დადებითად შალვა

ნათელაშვილი გაშუქდა დათმობილი დროის 9%-ით. ყველაზე უარყოფითი გაშუქება სალომე ზურაბიშვილს ჰქონდა (10%), მას 9% -იანი უარყოფითი გაშუქებით მოსდევს გრიგოლ ვაშაძე. პირველ არხზე თითქმის იდენტური დრო დაეთმოთ არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს. (თითოეულს დაახლოებით 8 წუთი). მათი გაშუქების ტონი 100%-თ ნეიტრალურია, რაც გაშუქების ფორმალური ვალდებულების შესრულებაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე კანდიდატების აქტივობების რეალურ გაშუქებაზე. თუმცა, ასეთი გაშუქება შესაძლოა ამ კანდიდატების ნაკლები აქტიურობითაა გამოწვეული.



შინაარსობრივი შედეგები

პირველი არხის საინფორმაციო გამოშვება მეტწილად შეესაბამება ეთიკურ სტანდარტებს. სიუჟეტების უმრავლესობა დაბალანსებულია, თუმცა შესამჩნევია არხზე სიღრმისეული, ექსკლუზიური მასალების სიმცირე. არხის სარედაქციო პოლიტიკა ხელისუფლებისადმი კრიტიკულობით არ გამოირჩევა. „მოამბეში“ შუქდება თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, თუმცა გაშუქებისას შესამჩნევია ხელისუფლებისადმი ნაკლებ კრიტიკული დამოკიდებულება. მონიტორინგის რაოდენობრივ მაჩვენებლებში ხელისუფლების კრიტიკული ტონი ძირითადად საპარლამენტო ოპოზიციის კომენტარებით არის განპირობებული. „მოამბეს“ პრაქტიკულად არ აქვს თავისი მოძიებული თემები კონკრეტული მწვავე პრობლემების შესახებ, სადაც მხილებული ან გაკრიტიკებული იქნება ხელისუფლება.

ხელისუფლების ცალკეული სტრუქტურების მიმართ კრიტიკული სიუჟეტები მომზადდა „ახალ კვირაში“, თუმცა არხის საერთო სარედაქციო პოლიტიკა ხელისუფლების მიმართ უფრო ლოიალურია, ვიდრე კრიტიკული. შეიძლება ითქვას, რომ არხი ვერ ასრულებს მედიის მთავარ როლს, იყოს მოდარაჯე, მუდმივად გამოავლინოს ხელისუფლების ნაკლოვანებები და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს აუდიტორიას.

პირველი არხი განსაკუთრებით დადებითად აშუქებდა პრემიერ მინისტრ მამუკა ბახტაძეს: მისი წარდგენა პრემიერად, მისი პირველი სამუშაო დღე, დამშვიდობება ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებთან, რეგიონებში გასვლა – ყველა ამ აქტივობის გაშუქებისას ბახტაძე დადებითად იყო წარმოჩენილი. 14 ივლისის მოამბეში პირველი და მეორე სიუჟეტი (დაახლოებით 9 წუთი) პარლამენტში ახალი მთავრობის დამტკიცებას მიეძღვნა. ჟურნალისტის ტექსტებით, დეპუტატთა გამოსვლებით, მამუკა ბახტაძე უკიდურესად დადებითად იყო წარმოჩენილი.

პრემიერის სამეგრელოში ვიზიტს 21 ივნისს „მოამბემ“ 4-წუთიანი სიუჟეტი მიუძღვნა. სიუჟეტის მიხედვით პრემიერმა სამეგრელოში ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე ისაუბრა განათლებით დაწყებული, ფაროსანასთან ბრძოლით დამთავრებული. სიუჟეტში ნაჩვენები იყო მამუკა ბახტაძის შეხვედრა ახალგაზრდებთან და დევნილებთან. „მოამბის“ ჟურნალისტის ტექსტების, საჰაერო კამერით გადაღებული ლამაზი კადრების, სიუჟეტში მოქალაქეების მხრიდან გაჟღერებული რბილი შეკითხვების წყალობით, პრემიერი ცალსახად დადებითად იყო წარმოჩენილი. არ ჩანდა არც ერთი კრიტიკული, მწვავე მოსაზრება თუ შეკითხვა, სიუჟეტში მთავრობით უკმაყოფილო არც ერთი მოქალაქის პოზიცია არ იყო წარმოდგენილი.

რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატების აქტივობების გაშუქებას, სექტემბრის ბოლომდე ძირითადად მექანიკურად, ფორმალური ბალანსის დაცვით და ზედაპირულად აშუქებდნენ საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო კამპანიას. მაგალითად, შეიძლება გაშუქებულიყო ყველა კანდიდატის აქტივობა და ყველა მათგანი წამის სიზუსტით ერთნაირი ხანგრძლივობის ყოფილიყო. ძირითადად ეს ხდებოდა 30 წამის ფარგლებში; ხანდახან ისმოდა დაუსაბუთებელი ბრალდებებიც კი, რომელსაც პასუხს არავინ სცემდა. საარჩევნო კამპანიის მსგავსი ზედაპირული გაშუქებით „მოამბის“ მაყურებელი ვერ იღებდა ამომწურავ ინფორმაციას კანდიდატების, მათი ღირებულებების, სამოქმედო გეგმისა თუ მოსაზრებების შესახებ.

26 სექტემბრიდან ეთერში იწვევდნენ საპრეზიდენტო კანდიდატებს და 10-10 წუთს უთმობდნენ მათ. თუმცა, ეს უფრო მოვალეობის მოხდის მიზნით შექმნილი ფორმატის შთაბეჭდილებას ტოვებდა და კანდიდატების შესახებ რეალურ, ამომწურავ ინფორმაციას ნაკლებად იძლეოდა.

რუსთავი 2

რაოდენობრივი შედეგები

„რუსთავი 2“-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ 9 საათიან „კურიერს“, „შაბათის კურიერსა“ და P.S.-ს. ყველაზე ხშირად ამ არხის ეთერშიც მთავრობა გაშუქდა, ყველაზე დადებითად - „ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი, თუმცა მათი დადებითი გაშუქება არ აჭარბებდა 1 %-ს. ყველაზე უარყოფითად ადგილობრივი ხელისუფლება

წარმოჩინდა, დათმობილი დროის 55%-ით. საერთო ჯამში თვალსაჩინო იყო ხელისუფლების და მის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის უარყოფითი გაშუქება.



საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დრო სალომე ზურაბიშვილს დაეთმო, თუმცა, ამ დროის ნახევარზე მეტი (56%) მის კრიტიკა მიეძღვნა. ყველაზე დადებითად გრიგოლ ვაშაძე გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის მხოლოდ 1% იყო უარყოფითი.



შინაარსობრივი შედეგები

„რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვება ექსკლუზიური, სიღრმისეული რეპორტაჟებით გამოირჩევა. ის ხელისუფლების მიმართ ყველაზე კრიტიკული არხია. ასევე, აშკარად შესამჩნევია ლოიალური დამოკიდებულება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, მიხეილ

სააკაშვილისა და პრეზიდენტობის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძის მიმართ. მაგალითად, გრიგოლ ვაშაძის ოფიციალურ პრეზენტაციას კურიერში 46 წუთი დაეთმო, აქედან 4 დღეში მისი კონკურენტის, დავით ბაქრაძის წარდგენას კი ორ წუთზე ნაკლები. სალომე ზურაბიშვილის ყველა გამოსვლა მუდმივად კრიტიკულ ტონში შუქდება.

სწორედ სალომე ზურაბიშვილზე მომზადებულ სიუჟეტებში დაფიქსირდა ყველაზე მეტი ეთიკური დარღვევა. ზურაბიშვილის მიმართ „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტები საკუთარ საავტორო ტექსტებშიც განსაკუთრებული კრიტიკით, ზოგჯერ ცინიზმითა და ირონიით გამოირჩევიან: *„ევროპული საქართველოს“ ლიდერისთვის სალომე ზურაბიშვილი მართლაც ერთგვარი პოლიტიკური "სექენდ ჰენდია", რომელმაც შანსი - გამოეყენებინა თავისი საგვარეულო თუ პირადი ბექგრაუნდი, გამხდარიყო ზეპარტიული პოლიტიკური მოღვაწე, პირველ ჯერზე ხელიდან გაუშვა"* - თქვა „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა ერთ-ერთ სიუჟეტში. „რუსთავი 2“-ის ეთერში გასული სიუჟეტების თანახმად, სალომე ზურაბიშვილმა გაანაწყენა ყველა, „ერი თუ ბერი“. ის მოხსენიებულია მოღალატედ, ეკლესიასთან მებრძოლად.

23 სექტემბრის გადაცემა P.S-ში გავიდა სიუჟეტი ზურაბიშვილის შესახებ, რომელიც მთლიანად უარყოფითი იყო. წამყვანმა სიუჟეტი ასეთი ტექსტით წარადგინა: *„ბრჭყალებში დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი. ხანგრძლივი დიპლომატიური კარიერის მიუხედავად ზურაბიშვილი სრულიდ არადიპლომატი ან ვერდიპლომატი აღმოჩნდა. თითქოს 2008 წლის ომის თემა არ იყო მასზე თავდასხმისთვის საკმარისი, უცებ გამოხტა და განაცხადა, კანაფის კულტივაციასთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიას მე ჩავუდგები სათავეშიო. სასულიერო პირებმა ამ ორი საკითხის გამო - მოღალატეობრივი განცხადებები და კანაფის დედოფლობა, უკვე განგაშის ზარები შემოკრეს, მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ ამ სიტუაციიდან დიპლომატიურად გამომძვრალიყო, სალომე ზურაბიშვილი პირდაპირ ეკლესიას დაეტაკა და თითის ქნევა დაუწყო, თანაც უკვე როგორც გარანტირებულად მომავალი პრეზიდენტი ლაპარაკობდა და იმუქრებოდა, მე, როგორც პრეზიდენტი, სასულიერო პირებს თავიანთ ადგილს მივუჩენ, რომ ის არ აკეთონ, რაც მათი საქმე არ არისო. ბევრი ეპისკოპოსი და სასულიერო პირი კი დარწმუნებულია, ქალბატონო სალომე, რომ თქვენ ვერ გახდებით პრეზიდენტი. ისინი არ აპირებენ თქვენთვის ხმის მოცემას და დიდია ალბათობა, არც მათმა მრევლმა დაგიჭიროთ მხარი. სალომე ზურაბიშვილის ვერ დიპლომატობაც, ალბათ, არ უნდა გაგვიკვირდეს პრინციპში, მისთვის ყველაზე საქებარი დიპლომატი, რომ იცოდეთ, სერგეი ლავროვია. თვითონ ამბობს ამას, ჩვენ რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ.”*

„რუსთავი 2“-ის ეთერში ზოგჯერ დაუსაბუთებელი სიუჟეტებიც გავიდა, სადაც „ქართული ოცნების“ და ხელისუფლების მიმართ ისეთი ბრალდებებია გაჟღერებული, რისი არგუმენტები, მტკიცებულებები სიუჟეტში არ არის. ერთ-ერთი ასეთი სიუჟეტი 4 აგვისტოს გავიდა, სადაც საუბარი იყო, რომ მინისტრები ხელფასების გარდა დამატებით თანხებს უკანონოდ იღებენ ე.წ. შავი ფონდიდან. ეს ინფორმაცია არ იყო საკმარისად გადამოწმებული და დადასტურებული, არ ჩანდა სიუჟეტში არც ერთი სანდო წყარო, ან მტკიცებულება, რაც ამბის რეალურობას დაამტკიცებდა. მიუხედავად ამისა, ვრცელ სიუჟეტში, ჟურნალისტის ტექსტებით, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის კომენტარებით, მუსიკითა და კადრებით, ვიდეო რეკონსტრუქციით, გამმაფრებულად იყო ნაჩვენები თითქოსდა როგორ იღებენ შავ ფულს მინისტრები. მასალის გარკვეულ მომენტებში ფულის აღება წარმოჩენილია, როგორც ფაქტი.

ამ ფონზე „რუსთავი 2“ დადებითად მიკერძოებულია „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. რამდენიმე სიუჟეტი მიეძღვნა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოქალაქეებისთვის „გარანტიის სერტიფიკატების” დარიგებას. 21 ივნისის სიუჟეტი ფაქტობრივად, პარტიული რეკლამა იყო, სადაც „ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი არსებული ხელისუფლების პირობებში დაზარალებულ ყველა მოქალაქეს საბანკო სესხებით და სამსახურების დაკარგვით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ჰპირდებოდნენ „ჩინოვნიკების ნაძარცვი ქონების“ ხარჯზე. სიუჟეტი დაუბალანსებელია, დაუსაბუთებელია როგორ მოხდება ამ დაპირებების შესრულება. სიუჟეტში არ არის შეკითხვა დასმული, თუ რამდენად რეალური, ეკონომიკურად გამართლებული და შესაძლებელია ეს. აღსანიშნავია ის, რომ ამ თემას „რუსთავი 2“-ის ეთერში რამდენიმე სიუჟეტი მიეძღვნა.

იმედი

რაოდენობრივი შედეგები

„იმედის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას, „ქრონიკას“ 8 საათზე და „იმედის კვირას“. „იმედზე“ ყველაზე მეტი დრო მთავრობას დაეთმო, ყველაზე დადებითადაც მთავრობა გაშუქდა, დათმობილი დროის 9%-ით. ყველაზე უარყოფითად მიხეილ სააკაშვილი (60%) და „ნაციონალური მოძრაობა“ (36%) გაშუქდნენ.



პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დრო სალომე ზურაბიშვილს დაეთმო. ყველაზე დადებითად დავით ბაქრაძე გაშუქდა 26%-ით, თუმცა მისთვის დათმობილი საერთო

დრო ორჯერ ნაკლები იყო ზურაბიშვილისთვის დათმობილ დროზე. ყველაზე უარყოფითად გრიგოლ ვაშაძე გაშუქდა. მისთვის დათმობილი დროის ნახევარზე მეტი (52%) უარყოფითი იყო.



შინაარსობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში „იმედი“ თითქმის არ აკრიტიკებდა მმართველ გუნდს. საწინააღმდეგოს თქმა შეიძლება მოქმედ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილზე, განსაკუთრებით კი ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე, „ნაციონალურ მოძრაობასა“ და გრიგოლ ვაშაძეზე, რომელთა მიმართაც „იმედი“ კრიტიკული იყო. ეთიკური სტანდარტების დარღვევაც უმეტესად ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტების მიმართ ხდებოდა.

2017 წლის არჩევნების მსგავსად, „იმედის“ საინფორმაციო გამოშვების მთავარი გზავნილები, ხელისუფლების ლოიალური გაშუქება, ჰგავს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო გამოშვების სტილს. „მოამბის“ მსგავსად „ქრონიკაშიც“ ვრცლად და განსაკუთრებით დადებითად გაშუქდა მამუკა ბახტაძის პრემიერად დანიშვნა და საქმიანობა. 2 ივლისს „იმედმა“ მთავარ საინფორმაციოში, პირდაპირ ეთერში თითქმის 7 წუთი დაუთმო პრემიერ ბახტაძის ბრიფინგს, რომელიც „რუსთავი 2“-მა მხოლოდ 79 წმ-თ გააშუქა.

„იმედი“ განსაკუთრებით აკრიტიკებს პრეზიდენტობის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს. მის შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში ხშირია მანიპულაცია, სიზუსტის დარღვევა. მაგალითად „იმედის კვირაში“ 7 ოქტომბერს გავიდა სიუჟეტი „რა კავშირი აქვს ოქუაშვილის ფარულ ჩანაწერებს გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო კამპანიასთან?.“ სიუჟეტი ეხება გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო კამპანიას, არის დაუბალანსებელი, მანიპულაციური და არ ეფუძნება ფაქტებს.

სიუჟეტში ერთმანეთთან ხელოვნურად, დაუსაბუთებლადაა დაკავშირებული „ომეგას“ საქმე, გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო კამპანია და კრემლის პოლიტიკა და მისი გავლენები. სიუჟეტის

მთავარი სათქმელია, რომ გრიგოლ ვაშაძე არის პუტინის პროექტი საქართველოში. ფაქტები ერთმანეთთან მანიპულაციური გზით არის დაკავშირებული და გაუგებარია, ამ ყველაფერს რა კავშირი აქვს „ომეგა ჯგუფთან“. ჟურნალისტი ეყრდნობა „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ უარყოფითად განწყობილ რესპონდენტებს, რომლებიც ძირითადად დაუსაბუთებელ ბრალდებებს აჟღერებენ ვაშაძის მისამართით. სიუჟეტში არეულია „ომეგას“ საქმე და ვაშაძის კანდიდატურის კრიტიკა. საპასუხოდ სიუჟეტში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ზაალ უდუმაშვილის მხოლოდ 5-წამიანი კომენტარია, რაც არ არის გამოთქმული ბრალდებების ადეკვატური. სიუჟეტში არ ჩანს თავად ვაშაძის პოზიცია და არც მისი კომენტარის მოპოვების მცდელობაა ასახული.

ვაშაძის მიმართ კამპანიური შეტევა „იმედმა“ აგვისტოს ბოლოს განახორციელა; რამდენიმე სიუჟეტი მიეძღვნა გრიგოლ ვაშაძის მიერ 2008 წლის 3 აგვისტოს გაკეთებულ განცხადებას, სადაც ის ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებში რუსეთის მონაწილეობაზე საუბრობს.

„ის პროვოცირებაც, რაც კოკოითის რეჟიმმა სცადა ცხინვალის რეგიონში, ეს იყო აბსოლუტური თვითშემოქმედება და რუსეთის ფედერაციაც კი არ იყო ამისათვის მზად. გასაგებია, რომ ასეთმა თვითშემოქმედებამ ძალიან საშიშ შედეგებამდე მიგვიყვანოს, ამიტომ რუსული მხარე სასწრაფოდ დამიკავშირდა და მთხოვა მოსკოვში ჩასვლა“ - „იმედმა“ ვაშაძის ეს კომენტარი წარმოაჩინა ისე, თითქოს ის გაკეთებულია აგვისტოს ომის დროს, 7-8 აგვისტოს მოვლენების შემდეგ,[1] არადა „იმედის“ ჟურნალისტებისთვის ცნობილი იყო (სიუჟეტის ერთ-ერთ კადრშიც ჩანდა) რომ ეს განცხადება 3-4 აგვისტოს იყო გავრცელებული და მთელი სიუჟეტის განმავლობაში ეს ფაქტი მიჩქმალეს. აქედან გამომდინარე, მთელი სიუჟეტი იყო მანიპულაციური და ემსახურებოდა ვაშაძის უარყოფითად წარმოჩენას.

ტვ პირველი

რაოდენობრივი შედეგები

„ტვ პირველის“ ეთერში მონიტორები ყოველდღიურ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „დღის ამბები“ აკვირდებოდნენ. ამ არხზე ყველაზე ხშირად მთავრობა გაშუქდა, ყველაზე უარყოფითი გაშუქებაც მთავრობას ჰქონდა - 24%. ყველაზე დადებითად პრეზიდენტი გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 3% დადებითი იყო.

[1] ამ სიუჟეტთან დაკავშირებით ქარტიას განცხადებით მიმართა გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა, გიორგი ვაშაძემ. ქარტიამ პრინციპების დარღვევა დაადგინა. იხილეთ გადაწყვეტილება http://qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/59596-gadatsyvetileba-saqmeze-giorgi-vashadze-levan-javakhishvilis-da-natalia-qajaias-tsinaghmdeg



პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დრო სალომე ზურაბიშვილს დაეთმო. ზურაბიშვილს „ტვ პირველზე“ კონკურენტებზე მინიმუმ 4-ჯერ მეტი გაშუქება ჰქონდა. მას აშუქებდნენ ყველაზე უფრო უარყოფითადაც და დადებითადაც.



შინაარსობრივი შედეგები

ტელეკომპანია „პირველი“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში თითქმის ყველა მნიშვნელოვან ამბავს აშუქებდა, ბალანსიც უმრავლეს შემთხვევაში დაცული იყო, მაგრამ არხს არ აქვს საკუთარი სიღრმისეული სიუჟეტები. „ტვ პირველის“ გამოხატული პრობლემა ამბების

გაშუქების ზედაპირულობაა; შეიძლება მაყურებელს შესთავაზონ პროცესში მონაწილე ყველა მხარე, თუმცა ამბის არსი მაინც გაუგებარი დარჩეს. სიუჟეტებს აკლია სიღრმე, ამბის დეტალურად თხრობა, რაც მაყურებელს აზიანებს.

„ტვ პირველის“ ეთერში ხელისუფლებას („ქართულ ოცნებას“ და მთავრობას ჯამში) უარყოფითი გაშუქების 40%-ზე მეტი ჰქონდა. გაშუქებისას დაფიქსირდა ბალანსის დარღვევის რამდენიმე შემთხვევაც. მაგალითად 12 სექტემბერს გავიდა სიუჟეტი საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციასთან დაკავშირებით. კონფერენცია მარიხუანის შესაძლო კულტივირებასა და ექსპორტს მიეძღვნა. სიუჟეტში უარყოფითად იყო წარმოჩენილი შინაგან საქმეთა სამინისტრო, საპარლამენტო უმრავლესობა და ბიძინა ივანიშვილი, თუმცა მათი საპასუხო კომენტარი სიუჟეტში არ ისმოდა. არადა კადრებში ჩანდა, რომ კონფერენციას ესწრებოდნენ შსს-ს და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებიც.

ობიექტივი

რაოდენობრივი შედეგები

ობიექტივის ეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვების - „ახალი ამბები“-ს მონიტორინგი ხდებოდა.

საინფორმაციო გამოშვებაში ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. ყველაზე დადებითად პარტია „ქართული ოცნება“ გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 6% პოზიტიური იყო. ყველაზე უარყოფითად, 77%-ით „ნაციონალური მოძრაობა“ გააშუქეს. „ობიექტივზე“ დიდი დრო დაეთმო „პატრიოტთა ალიანსს“. ის გაშუქების ხანგრძლივობით ობიექტივზე მესამეა, რაც სხვა არხებზე არ დაფიქსირებულა. წინა წლების მონიტორინგებშიც არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ ობიექტივის დამფუძნებლები „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები არიან და, ალბათ, ეს განაპირობებს ამ პარტიისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას.



პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დრო სალომე ზურაბიშვილს დაეთმო. მისთვის დათმობილი დრო 15-ჯერ აღემატება გრიგოლ ვაშაძისთვის დათმობილ დროს. უარყოფითი გაშუქებითაც სალომე ზურაბიშვილი ლიდერობს 9%-ით. ყველაზე დადებითად არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი კახაბერ ჭიჭინაძე გაშუქდა (24%), თუმცა, მისთვის დათმობილი მთლიანი დრო მონიტორინგის ოთხთვიან პერიოდში მხოლოდ 85 წამია.



შინაარსობრივი შედეგები

„ობიექტივი“ ყველა სხვა არხისგან განსხვავებულ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. აშკარაა ამ არხის მიკერძოება „პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ. მთელი პერიოდის განმავლობაში თვალსაჩინო იყო, რომ „ობიექტივში“ მთავარ ოპოზიციურ პარტიად „პატრიოტთა ალიანსს“ აცხადებენ, ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე ამ პარტიის წევრებთან წერენ ინტერვიუებს.

„ობიექტივი“ აშკარად უარყოფითად აშუქებდა „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს.“ მათ შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში მუდმივად გვხვდებოდა ეთიკური პრინციპების დარღვევა. ასეთი სიუჟეტები ყოველთვის დაუბალანსებლად გადიოდა ეთერში. „ობიექტივის“ ეთერში არ გაშუქებულა პრეზიდენტობის კანდიდატად დავით ბაქრაძის ოფიციალური წარდგენა, რომელიც 21 ივლისს მოხდა და ყველა არხმა გააშუქა. მთელი პერიოდის განმავლობაში „ობიექტივი“ მუდმივად აშუქებდა „პატრიოტთა ალიანსის“ ინიციატივას „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდის „ბოკერია-სააკაშვილის რეჟიმად გამოცხადების“ შესახებ. ამ თემას არაერთი სიუჟეტი მიეძღვნა „ობიექტივის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში. მონიტორინგის შედეგად ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ „ობიექტივი“ „პატრიოტთა ალიანსის“ მედია პლატფორმა უფროა, ვიდრე დამოუკიდებელი ტელევიზია.

ამ არხზე წინა მონიტორინგების მსგავსად ამჯერადაც დაფიქსირდა ქსენოფობიური განცხადებების ტირაჟირება. 3 ივლისს, „ობიექტივის“ პირველივე მასალაში ისმოდა თურქოფობიული ტექსტები როგორც ჟურნალისტის, ისე რესპონდენტის, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის მხრიდან. „ორგანიზაცია მუსლიმანი და ქრისტიანი ძმების“ დამფუძნებლებმა, წევრებმა და მხარდამჭერებმა საქართველოს ერთიანობის დასაცავად ხელი დეკლარაციას მოაწერეს. დეკლარაციის ძირითადი მიზანი მეზობელი ქვეყნის [თურქეთის] მიერ აჭარაში შენიღბული ექსპანსიის დაძლევაა” - ეს იყო ჟურნალისტის ტექსტი. უფრო მეტად ქსენოფობიური იყო რესპონდენტების კომენტარები - დავით თარხან მოურავი: „დღეს შეიკრიბა მუსლიმან და ქრისტიან ძმათა საერთო სახალხო მოძრაობა. მან ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომელშიც ღიად არის დადანაშაულებული თურქეთი საქართველოს ექსპანსიის პოლიტიკაში. ამ დეკლარაციაში პირდაპირ არის საუბარი იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით აჭარაში მოქმედებენ თურქული ორგანიზაციები, რომლებიც მიზანმიმართულად ეწევიან პოლიტიკას, რათა დაარწმუნონ ქართველი ხალხი, რომ ოსმალეთის იმპერიაში ის ცხოვრობდა ყველაზე საუკეთესოდ. ფაქტობრივად, მიმდინარეობს ოსმალეთის იმპერიის პროპაგანდა. გარდა ამისა, თურქეთი ღიად აცხადებს პრეტენზიას როგორც ბათუმზე, ასევე ოზურგეთზე, ასევე ახალციხეზე და ეს არ არის ახალი.”

მედია ვალდებულია ასეთი განცხადებების ტირაჟირება არ მოახდინოს. თუ განცხადებას საჯარო პირი აკეთებს, შესაძლოა, მოხდეს განცხადების ეთერში გაშვება, თუმცა რედაქცია მას უნდა გაემიჯნოს, უნდა უთხრას მაყურებელს, რომ ეს ქსენოფობიაა და მიუღებელია. „ობიექტივი“ ასე არ მოიქცა, რაც ეთიკური პრინციპების დარღვევაა.

მაესტრო

რაოდენობრივი შედეგები

მონიტორინგის პერიოდში დაკვირვების ქვეშ იყო „მაესტროს“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება „კონტაქტი“, რომელიც 20 საათიდან 22 საათამდე გრძელდებოდა, თუმცა, შუალედში გვხვდებოდა ბიზნესის და საერთაშორისო ამბები, სადაც ხშირად სამონიტორინგო სუბიექტები არ შუქდებოდნენ.

„მაესტროს“ ეთერში ყველაზე მეტი დრო მთავრობის გაშუქებას დაეთმო. ყველაზე დადებითად ადგილობრივი მთავრობა წარმოჩინდა, მისთვის დათმობილი დროის 5% პოზიტიური იყო. ყველაზე უარყოფითად – მიხეილ სააკაშვილი, მისთვის დათმობილი დროის 83% ნეგატიური იყო.



პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დრო სალომე ზურაბიშვილს დაეთმო. ის „მაესტროზე“ მინიმუმ ორჯერ უფრო ხშირად გაშუქდა, ვიდრე მისი კონკურენტები. ყველაზე დადებითად „მაესტროზე“ გრიგოლ ვაშაძე გაშუქდა. მისთვის დათმობილი დროის 17% დადებითი იყო. უარყოფითი გაშუქებითაც (10%) ვაშაძე ლიდერობს.



შინაარსობრივი შედეგები

„მაესტრო“ ძირითადად, მიმდინარე ამბებს აშუქებს და თითქმის არ აქვს საკუთარი თემები, ექსკლუზიური, სიღრმისეული მასალები, სადაც ამა თუ იმ პრობლემის სრულად წარმოჩენა მოხდება. „მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვებაში ხშირია ხელისუფლების წარმომადგენლების პირდაპირი ჩართვები, რომლებიც დაახლოებით 8 -10 წუთი გრძელდება. პირველი არხის და „იმედის“ მსგავსად „მაესტროც“ განსაკუთრებით დადებითად წარმოაჩენდა პრემიერ მამუკა ბახტაძეს. დიდი დრო დაეთმო ბახტაძის წარდგენასა და დანიშვნას, ძირითადად პოზიტიურ ტონში. „მაესტროს“ მიერ ხელისუფლებისადმი ლოიალური განწყობა გამოჩნდა 30 აგვისტოს გამოშვებაში, სადაც თითქმის გამოშვების მიწურულს გავიდა სიუჟეტი იმ დღეს ევროკავშირში საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ მომზადებულ ანგარიშზე. „მაესტრომ“ მაყურებელს მოუთხრო ევროპარლამენტის წევრის ანდრეს მამიკინსის ანგარიშზე, რომელიც მეტწილად დადებითი კუთხით წარმოაჩენდა საქართველოს მთავრობის საქმიანობას. სიუჟეტში მხოლოდ ერთი კრიტიკული კომენტარი იყო, საერთაშორისო ექსპერტის. რეალურად იმ დღეს ევროპარლამენტში ორი ანგარიში გასაჯაროვდა. მეორე ანგარიში ევროკავშირმა საერთაშორისო დამოუკიდებელ ექსპერტს დაუკვეთა. სწორედ მეორე ანგარიში იყო საქართველოს ხელისუფლების მიმართ უაღრესად კრიტიკული. მასში საუბარი იყო ივანიშვილის არაფორმალურ მმართველობაზე, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრობლემაზე, კრიტიკული მედიის შეზღუდვაზე, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის თბილისის ცენტრიდან გაუჩინარებაზე და ა.შ. ეს ყველაფერი „მაესტროს“ იმ დღის ეთერში არ გაშუქებულა, ხელისუფლების მწვავე კრიტიკა „მაესტროს“ მაყურებლისთვის უცნობი დარჩა. „მაესტროს“ საერთოდ არ უთქვამს, რომ იმ დღეს ორი ანგარიში გამოქვეყნდა ევროპარლამენტში და მეორე, დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა, ძალიან მწვავე იყო. ეს იყო

ფაქტის მიჩქმალვა, რაც ხელისუფლების სასარგებლოდ მოხდა. ორივე დასკვნა გააშუქა იმ დღეს რუსთავი 2-მა, ამ არხის პრიორიტეტი უფრო მეორე დასკვნა იყო.

არხზე პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქებისას საინტერესო ტენდენცია დაფიქსირდა. „მაესტრო“ თითქმის არ აშუქებს პრეზიდენტობის კანდიდატ შალვა ნათელაშვილის აქტივობებს, არადა ნათელაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელდა. თუ არხების უმრავლესობაში ნათელაშვილი ინტენსიურად შუქდებოდა, „მაესტროზე“ ის ყველაზე გაშუქებად კანდიდატთა შვიდეულშიც ვერ მოხვდა. დაფიქსირდა შემთხვევა, როცა „მაესტროზე“ გავიდა მასალა, რომლის მიხედვითაც კანდიდატები დავით ბაქრაძე და შალვა ნათელაშვილი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს შეხვდნენ, თუმცა ამ მასალაში დავით ბაქრაძის კომენტარი იყო, ნათელაშვილის კი მხოლოდ კადრები ჩანდა. მიუღებელია, როცა მედია გამოარჩევს რომელიმე აქტიურ კანდიდატს და არ ახდენს მისი აქტივობების გაშუქებას.

„მაესტროს“ ეთერში ქსენოფობიური განცხადების ტირაჟირებაც მოხდა. 20 აგვისტოს გასული მასალა კახა კუკავას პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებას შეეხებოდა. კუკავამ ქსენოფობიური განცხადება გააკეთა: „ჩვენი პროგრამის პრიორიტეტი იქნება, რომ შეწყდეს ქვეყანაში არაბების, თურქების, ირანელების და სხვა მიგრანტების მიღება და მათზე ბინადრობის მოწმობების გაცემა და , აი, ეს უბედურება, რასაც ეწოდება მიწების პრივატიზაცია.“

ამ განცხადებას საინფორმაციოს წამყვანი არ გამიჯვნია და არც ამ განცხადების გაშვების მიზეზები განუმარტავთ. არადა, ეთიკური სტანდარტები ჟურნალისტს მსგავსი განცხადებების ეთერში გაშვებისას ავალდებულებს, გაემიჯნოს განცხადების შინაარსს და აუდიტორიას უთხრას, რომ ეს ქსენოფობიაა, მიუღებელია და მისი ეთერში გაშვება მხოლოდ საჯარო პირის, ამ შემთხვევაში პრეზიდენტობის კანდიდატის, ამ საკითხისადმი დამოკიდებულების ჩვენებას ემსახურებოდა.

იბერია

რაოდენობრივი შედეგები

„იბერიას“ ეთერში მონიტორები ყოველდღიურად 19 საათიან საინფორმაციო გამოშვებას აკვირდებოდნენ. ეთერში ყველაზე მეტი დრო „ქართული ოცნების“ გაშუქებას დაეთმო. ყველაზე დადებითად ადგილობრივი მთავრობა გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 3% პოზიტიური იყო. ყველაზე უარყოფითადაც ადგილობრივი მთავრობა გაშუქდა 35%-ით.



პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ყველაზე მეტად სალომე ზურაბიშვილი გაშუქდა. მას კონკურენტებთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტი დრო დაეთმო. მასვე ჰქონდა ყველაზე მეტი დადებითი (3%) და ყველაზე უარყოფითი (31%) გაშუქება.



შინაარსობრივი შედეგები

„იბერიის“ შეფასება სამონიტორინგო პერიოდში ორ ნაწილად უნდა გაიყოს: პირველი – ვიდრე ე.წ. „ომეგას“ სკანდალი დაიწყებოდა და მეორე – „ომეგას“ სკანდალის დაწყების შემდეგ. პირველ პერიოდში „იბერია“ აქტიურად აშუქებდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თითქმის ყველა საკითხს, სიუჟეტების უმრავლესობა ეთიკურად გამართული და დაბალანსებული იყო. მეორე პერიოდში კი „იბერია“ მთლიანად ჩაერთო არხის მეპატრონის ოჯახსა და სახელმწიფოს შორის

არსებულ ბიზნეს დავაში. ამ პერიოდში „იბერია“ იყო ჩვეულებრივი მხარე, დაინტერესებული პირი და დამფუძნებლისა და სახელმწიფოს დავას უმრავლეს შემთხვევაში აშუქებდა მიკერძოებულად. მეორე პერიოდში არხის საინფორმაციო გამოშვებები ძირითადად ამ თემას ეხებოდა, „იბერია“ ნაკლებ დროს უთმობდა ქვეყანაში მიმდინარე სხვა ამბებს. არხი დიდი დოზით წარმოაჩენდა „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებლებს, დირექტორებს და ა.შ. დაფიქსირდა არაეთიკური, დაუბალანსებელი ინფორმაციის გაჟღერება.

5 სექტემბრის „იბერიის“ 19 საათიან ახალ ამბებში გავიდა სიუჟეტი „კორუფციის აღმოსაფხვრელად ქვეყანაში არაფერი კეთდება-დეპუტატ ნატო ჩხეიძის განცხადება“, სადაც „იბერიის“ დამფუძნებელი და ამასთანავე დეპუტატი ნატო ჩხეიძე თითქმის 3 წუთის განმავლობაში საუბრობს ქვეყანაში კორუფციაზე და ხელისუფლებას მოუწოდებს ამაზე რეაგირებას. ეს განცხადება არის ცალმხრივი, დაუსაბუთებელი, არ შეიცავს ფაქტობრივ მონაცემებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადება პარლამენტში სხდომათა დარბაზში გაკეთდა, მასზე არც ერთი დეპუტატის პასუხი არ არის სიუჟეტში ნაჩვენები.

„ომეგა ჯგუფსა“ და ხელისუფლებას შორის დაპირისპირების გამწვავება პირდაპირ აისახებოდა „იბერიის“ საინფორმაციო გამოშვებებზე. სექტემბრის დასაწყისიდან ეთერში უკვე ისმოდა, რომ ხელისუფლების გამო არხს ფინანსური პრობლემები ექმნება და იხურება. ჟურნალისტები, რესპონდენტები სულ უფრო კრიტიკულად, ირონიით, დაცინვით მოიხსენიებდნენ ხელისუფლებას. 3 ოქტომბერს ეთერში გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით “ჩელენჯი 4 თითის კომბინაციით.” სიუჟეტის წარდგენისას წამყვანი აჩვენებს 4 თითის კომბინაციას და აცხადებს, რომ სოციალურ ქსელში ეს დღეს ყველაზე პოპულარული აქციაა და ამ ჟესტს გამოხატავს ყველა, ვინც ხელისუფლების მხრიდან ბიზნესრეკეტს აპროტესტებს. ფარულ ჩანაწერებში ნახსენები 4 მილიონი, (რომელიც „ომეგას“ დამფუძნებლის ვერსიით მას ბიძინა ივანიშვილმა მოსთხოვა და ეს ოთხი თითით აჩვენა) 4 თითის სიმბოლო ჟურნალისტებს ისე აქვთ წარმოდგენილი, თითქოს ოქუაშვილის ვერსია არის დადასტურებული ფაქტი, რომელზეც შემდეგ აიგო კამპანია, რაც არაეთიკური და უზუსტოა. სიუჟეტი ეთერისთვის შეუფერებელია, რადგან ოთხი თითის ჩელენჯის დასასრული შუა თითის ჩვენება იყო.

საინფორმაციოსთვის შეუსაბამო იყო „იბერიის“ დამფუძნებლის, ნატო ჩხეიძის ძმის მწერალ როსტომ ჩხეიძის მხატვრული გამოხმაურებების ეთერში გაშვება, რომელიც ხელისუფლების, ბიძინა ივანიშვილის მიმართ ბრალდებებს და კრიტიკას ეძღვნებოდა და არანაირი ინფორმაციული, ფაქტობრივი ღირებულება არ ჰქონდა. 1 და 4 ოქტომბრის მიმართვებში ივანიშვილი არქიფოდ იყო მოხსენიებული და მიმართვა სრულდებოდა შემდეგნაირად, „პოლიხრონიონ, პოლიხრონიონ, პოლიხრონიონ“.

„იბერიის“ ეთერში 17 აგვისტოს ლეიბორისტების პრეზიდენტობის კანდიდატმა შალვა ნათელაშვილმა სექსისტურად ისაუბრა კონკურენტ სალომე ზურაბიშვილზე. "ზურაბიშვილი ისედაც დამორჩილებულია, მაგრამ ქალისას რას გაიგებ? შეიძლება უხასიათოდ გაიღვიძოს დილით და ბიძინას ინტერესებს შეეჯახოს მისი ეს უხასიათობა" – თქვა მან.

ჟურნალისტმა ნათელაშვილის სექსისტური განცხადება ისე გაუშვა ეთერში, არ განუმარტავს, რომ ეს სექსიზმია, დისკრიმინაციულია ქალი კანდიდატის მიმართ და მიუღებელია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

რაოდენობრივი შედეგები

აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება „მთავარის“ ეთერში, ყველაზე მეტი დრო ცენტრალურ მთავრობას დაეთმო. ყველაზე დადებითადაც მთავრობა გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 14% დადებითი იყო. უარყოფითი გაშუქებითაც მთავრობა ლიდერობდა (17%).



საპრეზიდენტო კანდიდატებს სხვა არხებთან შედარებით მცირე დრო დაეთმო აჭარის ტელევიზიის ეთერში. მათ შორის ყველაზე ხშირად სალომე ზურაბიშილი გაშუქდა. მისთვის დათმობილი დრო კონკურენტებისას მინიმუმ ოთხჯერ აღემატება. ყველაზე დადებითი გაშუქება დავით უსუფაშვილს ჰქონდა. მისთვის დათმობილი დროის 12% დადებითი ტონი იყო. ყველაზე უარყოფითად სალომე ზურაბიშვილი იყო წარმოჩენილი, საერთო დროის 24% ნეგატიური იყო.



შინაარსობრივი შედეგები

აჭარის ტელევიზიის ეთერში თემების მრავალფეროვნებაა. არხი გამოირჩევა სოციალური თემატიკის წინ წამოწევით, ადგილობრივი პრობლემების გაშუქებით, თუმცა შესამჩნევია ცენტრალური ამბების სიჭარბე.

აჭარის ტელევიზია იმ გამონაკლის სამონიტორინგო არხებს შორისაა, რომლის ეთერშიც შესამჩნევი არაა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოება. აჭარის ტელევიზია გამოირჩევა ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით. მხოლოდ იშვიათი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა კონკრეტულ სიუჟეტში ეთიკური პრობლემები იყო. აჭარის ტელევიზიის მთავარი გამოწვევა, არხების უმრავლესობის მსგავსად, ეთერში გასული ამბების სრულყოფილად, სიღრმისეულად გაშუქებაა. სიუჟეტები ხშირად არის აგებული მხოლოდ მხარეების ურთიერთბრალდებებზე და არ ჩანს ჟურნალისტის სათანადო მცდელობა მაყურებელს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია. ხშირია შემთხვევა, როცა ოპოზიციის წარმომადგენელი ხელისუფლებას სერიოზულ ბრალდებას უყენებს, თემა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა, ხშირად ჟურნალისტები ამ თემას არ სწავლობენ, არ ჩადიან სიღრმეში და მაყურებელს არ აწვდიან ამომწურავ ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია ის, რომ აჭარის ტელევიზიის ეთერში ხშირად მონაწილეობენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რაც ჟურნალისტებს საშუალებას აძლევს ნებისმიერ პრობლემაზე აუდიტორიას პასუხისმგებელი პირების მოსაზრებები შესთავაზონ.

აჭარის ტელევიზიის ეთერში რამდენჯერმე დაფიქსირდა გონივრული ბალანსის დარღვევის ფაქტი. ძირითადად ბალანსი ხელისუფლების საზიანოდ დაირღვა. მაგალითად 26 სექტემბერს თითქმის 7 წუთი მიეძღვნა ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“

კვლევას „კორუფციის კვამლი - „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ანალიზი.“ პირდაპირ ეთერში ჩაერთო ორგანიზაციის წარმომადგენელი ერეკლე ურუშაძე. ჟურნალისტის ტექსტით, შეკითხვებით, სტუმრის კომენტარით უარყოფითად იყო წარმოჩენილი საქართველოს მთავრობა, საპარლამენტო უმრავლესობა, კონკურენციის სააგენტო. უარყოფით კონტექსტში მოხსენიებული იყო მთავრობის კონკრეტული ყოფილი წევრები. მიუხედავად ამისა, გამოშვებაში არ იყო არც ერთი საპასუხო კომენტარი, არც მისი მოპოვების მცდელობა ჩანდა. მნიშვნელოვანია, მსგავსი სერიოზული ბრალდებების დროს, ბრალდებულ მხარესაც მიეცეს საპასუხო არგუმენტაციის წარდგენის საშუალება. მინიმუმ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის გადაცემაში მონაწილეობა იქნებოდა სასურველი.